საქმე №12-3116-17

განჩინება

საქართველოს სახელით

ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ

05 აპრილი 2017 წელი ქ.თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მოსამართლე ვეფხია ლომიძემ

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ დავით გუმბერიძის შუამდგომლობა ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე და

გამოარკვია:

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი აწარმოებს გამოძიებას სისხლის სამართლის №010221012001 საქმეზე შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" ხელმძღვანელ პირთა მიერ დიდი ოდენობით თანხის ჯგუფურად გაფლანგვისა და მოტყუებით დაუფლების ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" პუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" პუნქტით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" პუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ" პუნქტით.

წარმოდგენილი მასალების მიხედვით:

1999 წელს მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა დააარსეს კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფი". მისი საქმიანობის მიზანს წარმოადგენდა მოქალაქეთაგან მოზიდული თანხების აკუმულირება და უმსხვილესი სამშენებლო პროექტების განხორციელება. აღნიშნული საქმიანობის დროს სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტ ჯგუფის" ხელმძღვანელობის მხრიდან ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დანაშაულებრივ ქმედებებს, როგორიცაა რამოდენიმე ათასი მენაშენის მიერ შეტანილი თანხების თაღლითურად დაუფლება და მითვისება, რამაც საბოლოო ჯამში შეუძლებელი გახადა კომპანიის მიერ მენაშენეთა, თუ ინვესტორთა წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება.

კერძოდ: ქალაქ თბილისის საგადასახადო ინსპექციის 2006 წლის 03 აგვისტოს დადგენილებით განხორციელდა შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთის" ადმინისტრაცია,

რომლის პარტნიორს და საწესდებო კაპიტალის 100 %-ის წილის მფლობელს წარმოადგენდა მაია რჩეულიშვილი. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობა წარმოადგენდა სწორედ დირექტორის კომპეტენციას, ფაქტობრივად, ის მოქმედებდა შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფი“-ს დამფუძნებელი პარტნიორის - მაია რჩეულიშვილის მითითებით.

შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთსს“ საქმიანობის პერიოდში ქალაქ თბილისში ჩაჩავას ქუჩა №2-4-6-8-10-ში უნდა განეხორციელებინა მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის ე.წ. „მიონის“ ობიექტის მშენებლობა.

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ გაწეული სარეკლამო კამპანიის მეშვეობით, იმ მოტივით, თითქოსდა მოზიდული თანხები მიემართებოდა მშენებლობისათვის და საცხოვრებელი კომპლექსი დასრულდებოდა დათქმულ ვადაში, შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ წარმომადგენელებმა მოატყუეს მენაშენეები და მათგან 2006 წლის 03 აგვისტოდან 2010 წლის 31 აგვისტომდე პერიოდში მოიზიდეს ფულადი სახსრები 11 726 661,14 ლარის ოდენობით.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხები უნდა მიმართულიყო მიზნობრივად მშენებლობისათვის, 2006 წლის 03 აგვისტოდან 2008 წლის 23 ოქტომბრამდე პერიოდში მაია რჩეულიშვილი შპს „დიღომი დისთრიქთ აფართმენთის“ დირექტორისა ხელშეწყობითა და დახმარებით, მართლსაწინააღმდეგოდ, მისაკუთრების მიზნით სალაროდან მოტყუებით დაეუფლა მენაშენეთა მიერ შეტანილ თანხას 3 000 000,00 ლარის ოდენობით, რაც გახარჯა პირადი შეხედულებისამებრ.

გარდა აღნიშნულისა, გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2005 წლის 18 მარტის დადგენილებით განხორციელდა შპს „მარიჯანი“-ს რეგისტრაცია, რომლის დირექტორსაც 2005 წლის 18 მარტიდან 2010 წლის 16 სექტემბრამდე წარმოადგენდა დავით ქიმერიძე. მიუხედავად იმისა, რომ წესდების თანახმად დირექტორს მინიჭებული ჰქონდა სრული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და აღჭურვილი იყო „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, ფაქტობრივად დავით ქიმერიძე მოქმედებდა შპს „მარიჯანისა“ და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის - მაია რჩეულიშვილის მითითებით.

შპს „მარიჯანს“ საქმიანობის პერიოდში ქალაქ თბილისში, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში უნდა განეხორციელებინა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა. შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ გაწეული სარეკლამო კამპანიით მოქალაქეებისგან 2005 წლის 18 მარტიდან 2010 წლის 16 სექტემბრამდე პერიოდში მოზიდული იქნა ფულადი სახსრები 18.785.663,05 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხები უნდა მიმართულიყო მიზნობრივად მშენებლობისათვის, დავით ქიმერიძემ მაია რჩეულიშვილის მითითებით საზოგადოების სალაროდან არამიზნობრივად გაანაღდა მენაშენეთა მიერ შეტანილი დიდი ოდენობით ფულადი თანხები 1.437.523 ლარის ოდენობით, რაც არ იქნა უკან დაბრუნებული და მაია რჩეულიშვილმა გამოიყენა პირადი შეხედულებისამებრ.

შესაბამისად, ზემოაღნიშნულით მაია რჩეულიშვილი დავით ქიმერიძის დახმარებით თაღლითურად დაეუფლა მენაშენეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხებს 1.437.523 ლარის ოდენობით, რომლის მიღების კანონიერი საფუძველი მას არ გააჩნდა და განკარგა პირადი შეხედულებისამებრ.

2017 წლის 31 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დამფუძნებლების მაია რჩეულიშვილის და რუსუდან კერვალიშვილის მიმართ გამოტანილ იქნა გამამტყნებელი განაჩენი, კერძოდ ბრალდებულები ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტით (ხუთი ეპიზოდი) და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" პუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ" პუნქტებით (ორი ეპიზოდი) გათვალისიწნებული დანაშაულის ჩადენისათვის და 2012 წლის ამნისტიის გამოყენებით საბოლოოდ სასჯელის სახით განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 04 წლის ვადით. რაც შეეხება ბრალდებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებებს, აღნიშნული გამოიხატა შემდეგში .

თბილისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის მიერ ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88-ის" სამშენებლო პროექტის განსახორციელებლად შექმნილ ევრაზიის საინვესტიციო სააგენტოში შემოსული თანხებიდან მათ მიერ ყალბი სალაროს გასავლის ორდერების ამოწერის გზით ეტაპობრივად მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული იქნა 2.403.750 ლარი. მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული თანხების ნაწილი - 1.556.950 ლარი გაწერილი იქნა ამხანაგობა „წყნეთი 2004-ის" მიერ 15 000 კვ/მ მიწის ნაკვეთის შესაძენად, მაშინ როდესაც აღნიშნულ მიწის ნაკვეთში კომპანიას ეს თანხა არ გადაუხდია და ის შეძენილი იქნა სხვა დროს სხვა სახსრებით.

ანალოგიური თაღლითური სქემით, თითქოსდა სხვადასხვა უძრავი ქონების შესაძენად მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის მიერ გაწერილი და შემდეგში მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრებული იქნა თანხები: ა) ამხანაგობა „დიღომი-2004" – 200 200 ლარი; ბ) ამხანაგობა „ბაგები 2004" – 546 000 ლარი; გ) ევრაზიის საინვესტიციო სააგენტო - 288 800 ლარი.

2005-2008 წლებში მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა წინასწარი შეთანხმებით, არაერთგზის „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტოს" სალაროდან პირადად და მათი ნდობით აღჭურვილი პირების დახმარებით, სალაროს გასავლის ორდერებში მითითებული, ჯერ კიდევ მშენებლობის დასრულებამდე წინასწარ განსაზღვრული ე.წ. „წილების" მიღების საფუძვლით, გაიტანეს მენაშენეთა კუთვნილი თანხები 4.133.341,62 აშშ დოლარის ოდენობით და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს, რამაც მენაშენეთა კანონიერი ინტერესის დარღვევა გამოიწვია და მათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა.

2007 წლის 28 დეკემბერს რუსუდან კერვალიშვილმა „ცენტრ პოინტისგან" სესხის სახით მიიღო 400.000 აშშ დოლარი. შემდგომში, ხსენებული თანხის მისაკუთრებისა და თითქოსდა სამართლებრივი საფუძვლების შექმნის მიზნით, 2011 წლის აპრილში, რუსუდან კერვალიშვილის ორგანიზებით გაფორმდა ფიქტიური სესხის და ნასყიდობის

ხელშეკრულებები, რომლის მიხედვითაც თითქოსდა შპს „ცენტრ-პოინტმა“ ვალის სანაცვლოდ მიიღო მოქალაქეების გიორგი ზარიძის და გიორგი გუბელაძის სახელზე ფიქტიურად რეგისტრირებული ამხანაგობა „წყნეთი-2004-ის“ კუთვნილი მიწის ნაკვეთები, მაშინ, როცა ხსენებული მიწის ნაკვეთი შპს „ცენტრ-პოინტის“ მიერ შეძენილი იყო 2006 წელს. აღნიშნული დანაშაულებრივი სქემით მოხდა სესხის სახით აღებული თანხის გაქვითვა, რის გამოც ზარალი განიცადეს „ცენტრ პოინტ ინვესტის“ კლიენტებმა. ანალოგიური სქემით მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის მიერ გაქვითული იქნა შპს „ცენტრ პოინტ ინვესტისგან“ აღებული სესხი 215 500 აშშ დოლარის ოდენობით.

2004-2009 წლებში „თაბუკაშვილი 88-ის“ ბინათმშენებლობისათვის მობილიზებული იქნა 27.701.299,13 აშშ დოლარი, მათ შორის მენაშენეების/წევრების შენატანებმა შეადგინა 23.380.000 აშშ დოლარი, საიდანაც მაია რჩეულიშვილმა მიითვისა 1.065.159 აშშ დოლარი, ხოლო მაია რჩეულიშვილმა და რუსუდან კერვალიშვილმა მითითებული თანხის გარდა დამატებით ერთობლივად მიითვისეს 2.023.202 აშშ დოლარი და 2.403.750 ლარი;

მათ მიერ ასევე მითვისებული იქნა თბილისში, თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის მდებარე სამშენებლო პროექტის სახსრებიდან 4 120 188 ლარი.

მთლიანობაში მოცემულ საქმეზე მაია რჩეულიშვილი და რუსუდან კერვალიშვილი როგორც თაღლითურად, ასევე მითვისების გზით დაეუფლნენ 5 548 341 აშშ დოლარსა და 20 692 408 ლარს.

სისხლის სამართლის №010221012001 საქმეზე გამოძიება მიმდინარეობს განსაკუთრებით მძიმე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და მესამე ნაწილის მე-3 ნაწილის „ბ“ პუნქტით და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე (ადგილი აქვს დიდი ოდენობით თანხების მითვისება-გაფლანგვას და მოტყუებით დაუფლებას). გამოძიების მიზანია, შეაგროვოს დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულებები, დააზუსტოს შესაძლო დანაშაულის კვალიფიკაცია, ასევე გაატაროს პრევენციული ზომები მიმდინარე შესაძლო განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის დამთავრების აღსაკვეთად.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ხელმძღვანელი პირების - მაია რჩეულიშვილის, გურამ რჩეულიშვილის, ვახტანგ რჩეულიშვილის და რუსუდან კერვალიშვილის სახელზე უშუალოდ დანაშაულის ჩადენის დროს და შემდგომ პერიოდში საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ფიქსირდება ქალაქ თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონებში არაერთი ფქრავი ქონების და ასევე ორგანიზაციის რეგისტრაციის ფაქტი. კერძოდ, გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი დანაშაულის ჩადენის პერიოდში - 2006-2010 წლებში მსჯავრდებულ და მათთან დაკავშირებულ პირების მიერ შეძენილია შემდეგი ქონება:

1. თბილისი, გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე 1980 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.10.13.010.041; ამხანაგობა „ცაცხვების ხეივანი“, ID ნომერი: 205176343; დამფუძნებელი ს.ს. „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტო“);
2. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.015 (შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციები“ ID ნომერი: 201946056);
3. სიღნაღი, გზირიშვილის ქუჩაზე მდებარე 1140 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 56.14.41.100. შპს „ცენტრ პოინტი ინვესტი“; ID ნომერი: 204525665);
4. თბილისი, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში მდებარე 4893 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.03.039.007. შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციები“, ID ნომერი: 201946056; შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „მარიჯანი“, ID ნომერი: 205064712);
5. ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩაზე მდებარე 12835 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 64.30.01.393. „მზიური ველი“, ID ნომერი: 226161792);
6. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი №150 4148 კვ.მ მიწის ნაკვეთს 953,69 კვ.მ და შენობა ნაგებობა ს/კ 01.13.08.001.014.01.505 (მესაკუთრე შპს შპს „ცენტრ პოინტი ინვესტი ს/ნ 204525665);
7. ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.119., შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, ID ნომერი: 204531499);
8. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა №29-ში მდებარე 17632 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.139; შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, ID ნომერი: 204531499);
9. თბილისი, გელოვანის გამზირი №4„ა” მდებარე 9396 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.116, შპს „დაკიდებული ბაღები”, ID 212272869);
10. ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა №10-ში მდებარე 4140 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 318 კვ.მ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 03.05.01.808, შპს „ტეზამი”, ID 204530481);
11. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4-ში მდებარე 1348 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.033, ე.ს.ა. „თავისუფლების მოედანი 4”, ID 205209193);
12. თბილისი, სვანიძის ქუჩა №18-ში, გურამიშვილის შესახვევი №12-ის მიმდებარედ არსებულ 2549 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.043, ამხანაგობა „გურამიშვილი 2005”);
13. ყაზბეგის რაიონი, გუდაურში მდებარე 2039 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 74.06.11.271; შპს „გუდაური”, ID 205162376);
14. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.013; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ წილობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა „წყნეთი 2004”);
15. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.014; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ წილობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მეწარმეთა ამხანაგობა „წყნეთი 2004”);

16. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთა (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.016; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" ნდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ,,წყნეთი 2004");

17. მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 3230 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.534,შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499);

18. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.651, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე - შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);

19. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.652, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე - შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);

20. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 225 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.653, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე შპს ,,ფროფერთი ინვესტი" ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);

21. ქუთაისი, გრ.ხანძთელის ქუჩა №21,,ბ"-ში მდებარე 1193,65 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1512,38 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 03.04.03.438, შპს ,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);

22. სიღნაღი, აღმაშენებლის ქუჩა №6 მდებარე 467 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1425,20 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 56.14.42.066, შპს,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);

23. თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №152 მდებარე 522 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 53.20.38.110, შპს ,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);

24. ფოთი, რუსთაველის რკალი, 2300 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 04.02.07.004, შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499);

25. გორი, ხაშურის ქუჩა №1 მდებარე 4217 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 66.45.25.201, შპს ,,ცენტრ პოინტი ისრაელი ჯგუფი" ID 218061736);

26. ბათუმი, დაბა მახინჯაურში მდებარე 2520 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1895 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 05.34.22.010, შპს ,,რესტორანი მახინჯაური 2004", ID 248382557);

27. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №10-ში მდებარე 10527 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.13.02.005.006, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართამენთს", ID 204514926);

28. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ არსებულ 2100 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.076, შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი", ID 211361881);

29. ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქ-ის გაგრძელებაზე მდებარე 15012 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.24.02.044, შპს ,,ფროფერთი ინვესტი" ID 204531499); ამჟამინდელი მესაკუთრეა შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი";

30. ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №24 მდებარე 10395 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.20.01.89.051, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი, ID 204531499, შპს ,,ჯიქია" ID 205166559);
31. ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა №59 მდებარე 230 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.20.01.89.052, ზვიად ქათამაძე პ/ნ 01017000944);
32. თბილისი, რესპუბლიკური თვალის კლინიკასა და კრწანისის მეორე ჩიხს შორის მდებარე მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.18.06.018.024, მესაკუთრე შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფი", ID 202446246, რომლის ნაწილზე - 1002 კვ/მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: 01.18.06.018.053 - გაუქმებულია ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 06 ნოემბრის განჩინებით);
33. ქალაქი თბილისი, ე.ნინოშვილის ქუჩა №62-ში მდებარე 628 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.16.01.010.015, შპს ,,ცენტრ პოინტი პლეხანოვზე", ID 202342081);
34. ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქუჩა №30-ში მდებარე ფართს (994 კვ.მ., საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.002.01.515, ყოფილი მესაკუთრე: შპს ,,პროფერთი ინვესტი", ID 204531499, ამჟამინდელი მესაკუთრე - ელდარ გიორგელაშვილი პ/ნ 01025000592);
35. ქალაქი თბილისი, სოფელ დიღომში მდებარე 2018 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას, (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.049, მესაკუთრე: თამარ მახარაშვილი პ/ნ 01026000125);
36. ხელვაჩურის რაიონი, დაბა მახინჯაურში 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 22.01.01.101, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383;
37. მცხეთა, სოფელი ძეგვში მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 72.07.08.194, მესაკუთრეები: ლამარა ჭიპაშვილი, პ/ნ 01017010585; მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383; რუსუდან კერვალიშვილი, პ/ნ 01017004560);
38. ქალაქი ბათუმი, გორგილაძის ქუჩა №88-ში მდებარე ფართს (სართული 8, ბინა 20-4. 106,70 კვ.მ. საკადასტრო კოდი: 05.03.04.002.01.554, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383);
39. ონის რაიონი, კურორტ შოვში მდებარე 4950 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 88.02.02.915, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383);
40. ონის რაიონი, სოფელ სორში მდებარე 760 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 88.08.02.639, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383);
41. ბათუმი, მაზნიაშვილის ქუჩა №30-ში (ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №34) მდებარე 372 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და 100 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 05.01.22.006, მესაკუთრე: რუსუდან კერვალიშვილი, პ/ნ 01017004560);
42. თბილისი, პუშკინის ქუჩა №17-ში მდებარე 24,50 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.019.01.502, მესაკუთრეთა: ,,ამხანაგობა პუშკინის 17"; რუსუდან კერვალიშვილის, პ/ნ 01017004560 წილი);
43. ბორჯომი, რობაქიძის ქ. სართული 10, ბინა 61, ბლოკი 1, ნიშნული 31,9, 258,10 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 04.23.04.171.01.061, მესაკუთრე: ვახტანგ რჩეულიშვილი, პ/ნ 01017007971);
44. თბილისი, თბილისის ზღვასთან მდებარე 22002 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.114, მესაკუთრე: გურამ რჩეულიშვილი, პ/ნ 01031000033);
45. ქალაქი ბათუმი, სოფელ გონიოში მდებარე 404 კვ. მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.36.24.062, მესაკუთრე: მედეა ბოჭორიშვილი პ/ნ 61001007997);

46. ქალაქი ბათუმი, სოფელი გონიოში მდებარე 403 კვ. მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.36.24.063, მესაკუთრე: მედეა ბოჭორიშვილი პ/ნ 61001007997);
47. თბილისი, რობაქიძის ქუჩა №7-ში მდებარე 998 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.026, მესაკუთრე გრიგოლ ხაჩატურიანი პ/ნ 01013000849, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" ნდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი);
48. მცხეთა, არმაზის ქუჩა №59 მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 72.07.08.764, მესაკუთრე: ლამარა ჭიპაშვილი, პ/ნ 01017010585, მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის დედა);
49. თბილისი, ბოცვაძის ქუჩა №2-ში მდებარე 229,30 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.022.01.513, მესაკუთრე: ნინო დარასელი, პ/ნ 01017003446, რუსუდან კერვალიშვილის შვილი), ეს ქმნის დასაბუთებული ვარაუდის საფუძველს, რომ დანაშაულებრივი გზით დაუფლებული თანხებისათვის კანონიერი სახის მისაცემად, ზემოხსენებული პირები უძრავი ქონების შეძენის და მათი სხვა ორგანიზაციის საკუთრებად დარეგისტრირების გზით ცდილობდნენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხსენებული ხდებოდა იმ პერიოდში, როდესაც შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" მიერ არ არის შესრულებული მენაშენეთა წინაშე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

2017 წლის 03 აპრილს, 17:20 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიას შუამდგომლობით მომართა თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორმა დავით გუმბერიძემ და ითხოვა შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებებზე - მიწის ნაკვეთებსა და მათზე განლაგებულ შენობა - ნაგებობებზე ყადაღის დადება შემდეგი საფუძვლით: თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ბრალდებულების რუსუდან კერვალიშვილის და მაია რჩეულიშვილის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებში. არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ხსენებული ქონებები შეძენილია სწორედ აღნიშნული თანხებით. შესაბამისად, შესაძლებელია, რომ ხსენებული ქონების შეძენით ადგილი ჰქონდეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტს (სასამართლოს მიერ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენით დადგინდა ფულის გათეთრებისათვის აუცილებელი პრედიკატი - თაღლითობა და მითვისება).

ამავდროულად თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია იმ ქონებრივი დავების შესახებ, სადაც მოპასუხე მხარეს წარმოადგენს შპს „ცენტრ-პოინტ ჯგუფი" და ხსენებული საზოგადოების მიერ დაფუძნებული ორგანიზაციები. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 დეკემბრის წერილით დგინდება, რომ მხოლოდ 2014-2016 წლებში შპს „ცენტრ - პოინტის" საწინააღმდეგოდ მიღებულია 81 გადაწყვეტილება. მას შემდეგ, რაც 2017 წლის 31 მარტის განაჩენის საფუძველზე გაუქმდა 2016 წლის 15 მაისის თბილისის საქალაქო სასამართლოს და 2016 წლის 16 მაისის თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებები და ყადაღა მოეხსნა ზემოთ დასახელებულ ქონებას, არსებობს საფრთხე იმისა, რომ მოსალოდნელია იძულებითი აღსრულების, ქონებების აუქციონზე გატანის თავიდან აცილების, ხსენებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით მოხდება მსჯავრდებული დანაშაულთან დაკავშირებულ პირების მხრიდან ქონების ან მისი ნაწილის რეალიზაცია, რითაც მოხდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის

განხორციელება და შემდგომში ზემოხსენებული მოსარჩელეების ინტერესების დაკმაყოფილება დადგება საფრთხის წინაშე, რადგან ადგილი ექნება კეთილსინდისიერი შემძენის მიერ ქონების ფლობის ფაქტს. შესაბამისად, შეუძლებელი გახდება სასამართლოს მიერ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულება.

სასამართლომ განიხილა შუამდგომლობა და მიაჩნია, რომ იგი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლი განსაზღვრავს ქონებაზე ყადაღის დადების მიზანს და საფუძვლებს. აღნიშნული ნორმა ყადაღის დადების შესაძლებლობას ითვალისწინებს სისხლის სამართლის საპროცესო იძულების ღონისძიების - ქონების შესაძლო ჩამორთმევის მიზნით. ყადაღის დადება ნებადართულია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მოსამართლის განჩინებით ბრალდებულის, მისი მოქმედებისათვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ქონებასთან მიმართებაში, თუ არსებობს ამ ქონების გადამალვის ან გახარჯვის საშიშროება. სასამართლოს შეუძლია, ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული (სსსკ-ის 151-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობაზე დართული მასალები (ფორმა №1, საჯარო რეესტრის ამონაწერები ,,ცენტრ პოინტის" ქონებაზე, სამეწარმეო რეესტრის ამონაწერები ,,ცენტრ პოინტის" კომპანიებზე, პიროვნებების მაინდენტიფიცირებელი მონაცემები, რევიზიის აქტები, მოწმეთა დაკითხვის ოქმები, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 31 მარტის განაჩენი და სხვა მასალა) ასაბუთებენ ქონებაზე ყადაღის დადების აუცილებლობას, რადგან არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ შპს „ცენტრ-პოინტ ჯგუფის' და მასში შემავალი სუბიექტების ხელმძღვანელ პირთა კუთვნილი ქონება გამოყენებული იქნება სხვა განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულის მომზადებისას, ახალი დანაშაულის ჩასადენად. შესაბამისად, იმისათვის, რომ არ მოხდეს დანაშაულებრივად მოპოვებული ქონების მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება, ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველყოფის მიზნით აუცილებელია ზემოაღნიშნული ქონების დაყადაღება.

როგორც აღინიშნა, სასამართლოს წარმოებაშია რამდენიმე ათეული სარჩელი, მოპასუხე ,,ცენტრ პოინტი ჯგუფის" მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემული შუამდგომლობის განხილვისას სასამართლო არაა შეზღუდული გამოიყენოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ის დებულებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექს. მოცემულ შემთხვევაში მითითებულ ქონებაზე ყადაღის დადებით გამოყენებული იქნება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მითითებულ სამოქალაქო საქმეებზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 151-154-ე, 156-ე და 158-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის პროკურორ დავით გუმბერიძის შუამდგომლობა დაკმაყოფილდეს და ყადაღა დაედოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას - მიეის ნაკვეთებსა და მათზე განლაგებულ შენობა - ნაგებობებს:

3. თბილისი, გოთუას ქუჩა №20-ში მდებარე 1980 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.10.13.010.041; ამხანაგობა „ცაცხვების ხეივანი“, ID ნომერი: 205176343; დამფუძნებელი ს.ს. „ევრაზიის საინვესტიციო სააგენტო“);
4. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.015 (შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციები“ ID ნომერი: 201946056);
3. სიღნაღი, გზირიშვილის ქუჩაზე მდებარე 1140 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 56.14.41.100. შპს „ცენტრ პოინტი ინვესტი“; ID ნომერი: 204525665);
4. თბილისი, მარიჯანის ქუჩის დასაწყისში მდებარე 4893 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.14.03.039.007. შპს „თანამედროვე ფასეულობათა ინვესტიციები“, ID ნომერი: 201946056; შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „მარიჯანი“, ID ნომერი: 205064712);
5. ბორჯომის რაიონი, დაბა ბაკურიანი, კობა წაქაძის ქუჩაზე მდებარე 12835 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 64.30.01.393. „მზიური ველი“, ID ნომერი: 226161792);
6. თბილისი დავით აღმაშენებლის გამზირი №150 4148 კვ.მ მიწის ნაკვეთს 953,69 კვ.მ და შენობა ნაგებობა ს/კ 01.13.08.001.014.01.505 (მესაკუთრე შპს შპს „ცენტრ პოინტი ინვესტი ს/ნ 204525665);
7. ქალაქი თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.119., შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, ID ნომერი: 204531499);
8. თბილისი, ხოშარაულის ქუჩა №29-ში მდებარე 17632 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.139; შპს „ფროფერთი ინვესტი“, ID ნომერი: 204531499; შპს „გეითვეი ჰოლდინგი“, ID ნომერი: 204531499);
9. თბილისი, გელოვანის გამზირი №4„ა“ მდებარე 9396 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.11.001.116, შპს „დაკიდებული ბაღები“, ID 212272869);
10. ქუთაისი, შევჩენკოს ქუჩა №10-ში მდებარე 4140 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 318 კვ.მ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 03.05.01.808, შპს „ტუზამი“, ID 204530481);
11. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4-ში მდებარე 1348 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.15.05.066.033, ე.ს.ა. „თავისუფლების მოედანი“ ID 205209193);
12. თბილისი, სვანიძის ქუჩა №18-ში, გურამიშვილის შესახვევი №12-ის მიმდებარედ არსებულ 2549 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.14.07.008.043, ამხანაგობა „გურამიშვილი 2005“);

13. ყაზბეგის რაიონი, გუდაურში მდებარე 2039 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 74.06.11.271; შპს ,,გუდაური", ID 205162376);
14. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.013; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" წდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ,,წყნეთი 2004");
15. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 4000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.014; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" წდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ,,წყნეთი 2004");
16. თბილისი, წყნეთის სატყეო უბანში მდებარე 3000 კვ.მ. მიწის ნაკვეთა (საკადასტრო კოდი: 01.20.01.150.016; მესაკუთრე: გიორგი ზარიძე, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" წდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი, ინდივიდუალურ მენაშენეთა ამხანაგობა ,,წყნეთი 2004");
17. მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 3230 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.534,შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499);
18. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 500 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.651, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე - შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);
19. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 150 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.652, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე - შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);
20. ქალაქი მარნეული, ყოფილი №1 სამხედრო ქალაქის ტერიტორიაზე მდებარე 225 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 83.02.01.653, 27/04/2015 წლამდე მესაკუთრე შპს ,,ფროფერთი ინვესტი" ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეები - ივანე იაკობაშვილი (პ/ნ 01001027596), ნათელა მაჭარაშვილი (პ/ნ 28001036062);
21. ქუთაისი, გრ.ხანძთელის ქუჩა №21,,ბ"-ში მდებარე 1193,65 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1512,38 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 03.04.03.438, შპს ,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);
22. სიღნაღი, აღმაშენებლის ქუჩა №6 მდებარე 467 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1425,20 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 56.14.42.066, შპს,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);
23. თელავი, ი.ჭავჭავაძის გამზირი №152 მდებარე 522 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 53.20.38.110, შპს ,,სასტუმროების ქსელი რჩეული", ID 204530551);
24. ფოთი, რუსთაველის რკალი, 2300 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 04.02.07.004, შპს ,,ფროფერთი ინვესტი", ID 204531499);
25. გორი, ხაშურის ქუჩა №1 მდებარე 4217 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 66.45.25.201, შპს ,,ცენტრ პოინტი ისრაელი ჯგუფი" ID 218061736);
26. ბათუმი, დაბა მახინჯაურში მდებარე 2520 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ 1895 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 05.34.22.010, შპს ,,რესტორანი მახინჯაური 2004", ID 248382557);

27. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქუჩა №10-ში მდებარე 10527 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.13.02.005.006, შპს ,,დიღომი დისთრიქთ აფართამენთს", ID 204514926);
28. თბილისი, დიდი დიღომი, ტელევიზორების მშენებარე ქარხნის მიმდებარედ არსებულ 2100 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.076, შპს ,,დიდი დიღმის ოაზისი", ID 211361881);
29. ქალაქი ბათუმი, რუსთაველის ქ-ის გაგრძელებაზე მდებარე 15012 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.24.02.044, შპს ,,ფროფერთი ინვესტი" ID 204531499), ამჟამინდელი მესაკუთრეა შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი";
30. ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, იაკობ გოგებაშვილის ქუჩა №24 მდებარე 10395 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.20.01.89.051, შპს ,,გეითვეი ჰოლდინგი, ID 204531499, შპს ,,ჯიქია" ID 205166559);
31. ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, დ.აღმაშენებლის ქუჩა №59 მდებარე 230 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 01.20.01.89.052, ზვიად ქათამაძე პ/ნ 01017000944);
32. თბილისი, რესპუბლიკური თვალის კლინიკასა და კრწანისის მეორე ჩიხს შორის მდებარე მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.18.06.018.024, მესაკუთრე შპს ,,კავკასიის პოინტ ჯგუფი", ID 202446246, რომლის ნაწილზე - 1002 კვ/მ მიწის ნაკვეთზე, საკადასტრო კოდი: 01.18.06.018.053 - გაუქმებულია ყადაღა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 06 ნოემბრის განჩინებით);
33. ქალაქი თბილისი, ე.ნინოშვილის ქუჩა №62-ში მდებარე 628 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი 01.16.01.010.015, შპს ,,ცენტრ პოინტი პლეხანოვზე", ID 202342081);
34. ქალაქი თბილისი, ლესელიძის ქუჩა №30-ში მდებარე ფართს (994 კვ.მ., საკადასტრო კოდი: 01.18.03.045.002.01.515, ყოფილი მესაკუთრე: შპს ,,პროფერთი ინვესტი", ID 204531499, ამჟამინდელი მესაკუთრე - ელდარ გიორგელაშვილი პ/ნ 01025000592);
35. ქალაქი თბილისი, სოფელ დიღომში მდებარე 2018 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და მასზე განლაგებულ შენობა-ნაგებობას, (საკადასტრო კოდი: 01.72.14.020.049, მესაკუთრე: თამარ მახარაშვილი პ/ნ 01026000125);
36. ხელვაჩაურის რაიონი, დაბა მახინჯაურში 1000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 22.01.01.101, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383;
37. მცხეთა, სოფელი ძეგვში მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 72.07.08.194, მესაკუთრეები: ლამარა ჭიპაშვილი, პ/ნ 01017010585; მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383; რუსუდან კერვალიშვილი, პ/ნ 01017004560);
38. ქალაქი ბათუმი, გორგილაძის ქუჩა №88-ში მდებარე ფართს (სართული 8, ბინა 20-4. 106,70 კვ.მ. საკადასტრო კოდი: 05.03.04.002.01.554, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383);
39. ონის რაიონი, კურორტ შოვში მდებარე 4950 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 88.02.02.915, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383);
40. ონის რაიონი, სოფელ სორში მდებარე 760 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 88.08.02.639, მესაკუთრე: მაია რჩეულიშვილი, პ/ნ 01017003383);
41. ბათუმი, მაზნიაშვილის ქუჩა №30-ში (ქ.ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქუჩა №34) მდებარე 372 კვ.მ. მიწის ნაკვეთს და 100 კვ.მ. შენობა-ნაგებობას (საკადასტრო კოდი: 05.01.22.006, მესაკუთრე: რუსუდან კერვალიშვილი, პ/ნ 01017004560);

42. თბილისი, პუშკინის ქუჩა №17-ში მდებარე 24,50 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 01.18.03.018.019.01.502, მესაკუთრეთა: ,,ამხანაგობა პუშკინის 17"; რუსუდან კერვალიშვილის, პ/ნ 01017004560 წილი);
43. ბორჯომი, რობაქიძის ქ. სართული 10, ბინა 61, ბლოკი 1, ნიშნული 31,9, 258,10 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 04.23.04.171.01.061, მესაკუთრე: ვახტანგ რჩეულიშვილი, პ/ნ 01017007971);
44. თბილისი, თბილისის ზღვასთან მდებარე 22002 კვ.მ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.12.21.001.114, მესაკუთრე: გურამ რჩეულიშვილი, პ/ნ 01031000003);
45. ქალაქი ბათუმი, სოფელ გონიოში მდებარე 404 კვ. მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.36.24.062, მესაკუთრე: მედეა ბოჭორიშვილი პ/ნ 61001007997);
46. ქალაქი ბათუმი, სოფელი გონიოში მდებარე 403 კვ. მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 05.36.24.063, მესაკუთრე: მედეა ბოჭორიშვილი პ/ნ 61001007997);
47. თბილისი, რობაქიძის ქუჩა №7-ში მდებარე 998 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 01.13.04.007.026, მესაკუთრე გრიგოლ ხაჩატურიანი პ/ნ 01013000849, ,,ცენტრ პოინტ ჯგუფის" ნდობით აღჭურვილი და მათთან დაკავშირებული პირი);
48. მცხეთა, არმაზის ქუჩა №59 მდებარე 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: 72.07.08.764, მესაკუთრე: ლამარა ჭიპაშვილი, პ/ნ 01017010585, მაია რჩეულიშვილისა და რუსუდან კერვალიშვილის დედა);
49. თბილისი, ბოცვაძის ქუჩა №2-ში მდებარე 229,30 კვ.მ. ფართს (საკადასტრო კოდი: 01.15.03.010.022.01.513, მესაკუთრე: ნინო დარასელი, პ/ნ 01017003446, რუსუდან კერვალიშვილის შვილი).

3. განჩინება მოქმედებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და საქმის შეწყვეტამდე ან განაჩენის აღსასრულებლად მიქცევამდე;

4. განჩინების შესრულება დაევალოს ქ.თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს;

5. ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს განჩინება გადაეცეს გასაჩივრების უფლების მქონე პირებს განჩინების გამოცემიდან 48 საათის განმავლობაში;

6. განჩინების შეიძლება, გასაჩივრდეს პროკურორის, ბრალდებულის ან/და პირის მიერ, რომლის ქონებრივი უფლებებიც შეიძლება დაირღვეს ამ განჩინების შედეგად, აგრეთვე მათი ადვოკატების მიერ განჩინების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის მომენტიდან 48 საათის განმავლობაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში თბილისის საქალაქო სასამართლოს საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიის მეშვეობით.

მოსამართლე: /ვეფხია ლომიძე/